აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

განკარგულება №7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ

ქალაქი ბათუმი **2 ივლისი, 2020 წელი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 68-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მოწვეულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია 2020 წლის 3 ივლისის 11 საათიდან.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 3 ივლისიდან მოწვეულ რიგგარეშე სესიაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
II-III მოსმენა

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი _ ,,საქართველოს ორგანული კანონის პროექტის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“.